ვალტერ ლიუდე-ნოირათი

დიონიცის ხელისუფლება: მესამე რაიხის უკანასკნელი დღეები

წარმოგიდგენთ ვალტერ ლიუდე-ნოირათის მემუარების ქართული თარგმანის გაგრძელებას. საკუთარი თავისა და ნაშრომის ისტორიის მოკლე განხილვის შემდეგ ავტორი მესამე თავში ეხება გროსადმირალ კარლ დიონიცის (1891-1980) მოღვაწეობას კრიგსმარინეში და 1945 წლის აპრილის ბოლოს მის გადასვლას ჩრდილოეთ გერმანიაში, ხოლო მეოთხე და მეხუთე თავები აშუქებს ჰიტლერის მემკვიდრეობისა და ქვეყნის მეთაურის პოზიციაზე დიონიცის აღმოჩენის გარემოებებს.

* * *

1944 წლის სექტემბერში „კრიგსმარინეს მთავარსარდლის ადიუტანტად“ გახდომიდან 1945 წლის 19 აპრილს ჩვენი ადგილსამყოფლის შეცვლამდე ჩემ პოზიციაზე სტანდარტულ საქმიანობას ვეწეოდი: ვაკონტროლებდი თანამშრომლებს, მუდამ თან დავყვებოდი დიონიცს და მონაწილეობას ვიღებდი კრიგსმარინეში მის სამხედრო საუბრებში, თუმცა თანაბარი ან უფრო მაღალი წოდების პირებთან გამართულ ოფიციალურ შეხვედრებს მე არ ვესწრებოდი. აღმოსავლეთის ფრონტის მოშლამდე მომხდარ დიდ მოვლენებთან დაკავშირებით ჩემი ცოდნა ემყარებოდა დროდადრო ჰიტლერთან სიტუაციურ კონფერენციებზე ვიზიტებს, იქიდან ყოველდღიურად მიღებულ წერილობით რეზიუმეებს, რაიხსკანცელარიაში თავს გადახდენილ არაოფიციალურ ამბებსა და დიონიცთან პირად საუბრებს, რომლებიც ჩვენ შორის არსებულ ურთიერთნდობას ეფუძნებოდა და რომლებსაც მესამე პირი არ ესწრებოდა. რადგანაც დიონიციც საკუთარ მოქმედებასაც და ფიქრებსაც თავის სფეროში წარმართავდა და თავს იკავებდა სხვების საქმეში ჩარევისგან, 1945 წლის აპრილამდე მომხდარი მოვლენები განზრახ მოკლედ მოვყევი იმ იმედით, რომ ამისთვის უფრო კომპეტენტური ავტორები გამოჩნდებიან.

ჩრდილოეთში ჩვენი გადასვლით დიონიცი ამ რეგიონში პირველი პირი გახდა. მოგვიანებით ჰიტლერის მემკვიდრედ დასახელებით მან ასეთივე გავლენა მოიპოვა იმ პირებზე, რომლებიც აქამდე მას არ ემორჩილებოდნენ (მაგალითად ჰიმლერსა და კაიტელზე). შესაბამისად, თავისთავად გასაგებია, რომ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ახლა უკვე ყველა ოფიციალურ შეხვედრაში პირადად ვიღებდი მონაწილეობას. ჰიტლერთან

შევამჩნიე, რომ უნიფორმებიანი სტენოგრაფისტები მის ყოველ სიტყვას იწერდნენ. ამგვარი საქმიანობისთვის დიონიცის შტაბი სრულიად მოუმზადებელი იყო. ამიტომ მე თავად დავიწყე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სასაუბრო თემების პუნქტების სახით სტენოგრაფიულად ჩაწერა და 2 მაისიდან, დიონიცის თანხმობით, ვაწარმოებდი „გროსადმირალის სამხედრო დღიურს“, რომელიც ღამღამობით ჩემი ჩანაწერებიდან პირდაპირ მანქანაზე გადამქონდა ხოლმე. ამ „ყოველდღიური ოქმების“ ორივე ეგზემპლარი დაპატიმრებისას წაგვართვეს, თუმცა ჩემი ჩანაწერები მე დამრჩა. ისინი უკანასკნელად ხელში მეჭირა 1945 წლის სექტემბრის ბოლოს ნიურნბერგის ციხის საკანში, როცა ჩემი ბარგიდან რამდენიმე ნივთის ამოღების უფლება მქონდა. ექვსი კვირის შემდეგ იმავე ციხის „მოწმეების ფლიგელში“ გადამიყვანეს. აქ ამერიკელმა შტაბ-სერჟანტმა[1] ოფიციალურად გამოგვიცხადა, რომ დოკუმენტები და ჩანაწერები, რომლებიც ჯერ კიდევ პატიმრობისას თან გვქონდა და ახლა სასამართლო პროცესისთვის ჰქონდათ მნიშვნელობა, თავიანთ თავდაპირველ მფლობელებს უნდა დაბრუნებოდათ. მე ვფიქრობდი, რომ ჩემი ჩანაწერები შეიძლებოდა დიონიცის ვექილებს გამოეყენებინათ და უკან მოვითხოვე, მაგრამ ისინი „ვეღარ იპოვეს“ და ვერც ჩემმა გაუთავებელმა ჩივილმა და ვერც დაცვის მცდელობებმა ისინი მზის შუქზე ვეღარ გამოიტანა.

მაშინ უკვე დაწყებული მქონდა ჩემი მემუარების წერა და მომხდარი ჯერ კიდევ ნათლად იყო აღბეჭდილი ჩემს მეხსიერებაში. ჩემი დაახლოებით ორწლიანი პატიმრობის განმავლობაში ასევე მქონდა საკმარისი დრო და შესაძლებლობა, ჩემი მოგონებები მომხდარის სხვა მონაწილეებთან გადამემოწმებინა. ბოლოს მაინც მოვახერხე მთელი რიგი ჩანაწერების გადარჩენა, რომლებიც ნაწილობრივ დიონიცმა მიკარნახა დაპატიმრებიდან მალევე, ნაწილობრივ კი პროცესის მიმდინარეობისას გახდა ჩემთვის ხელმისაწვდომი. ამიტომ ვფიქრობ შემიძლია გარანტიის მოცემა, რომ მომავალ თავებში წარმოდგენილი მოვლენები და მოტივები ზუსტი და სრულიად რეალურია.

[1] გამოყენებულია გერმანული ტერმინი Feldwebel, რაც აშშ-ის არმიის staff sergeant-ის ექვივალენტურია.

თავი 3

შეუძლებელი დავალება: ჩრდილოეთის დაცვა

ჯერ კიდევ 1944 წლის გვიან შემოდგომაზე მიიჩნევდა დიონიცი, როგორც კრიგსმარინეს მთავარსარდალი, წყალქვეშა ნავების კვლავ გაძლიერებას თავის მთავარ დავალებად. ამ „ვერმახტის მე-4 ნაწილის“[2] – როგორც მას კრიგსმარინეში ნახევრად აღშფოთებითა და ნახევრად აღიარებით მოიხსენიებდნენ ხოლმე – მეთაურობა მას ომის დროს ერთხელაც არ გაუშვია ხელიდან. მეორე მსოფლიო ომის წყალქვეშა შეიარაღება ორგანიზატორული, ტექნიკური და ტაქტიკური კუთხით ძირითადად მისი შემოქმედება იყო. ისინი ფაქტობრივად ერთად აღზევდნენ.

ომის დასაწყისში გერმანიას ჰქონდა საბრძოლოდ მზადმყოფი მცირე ზომის ნავების უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც 1935 წლის ლონდონის საზღვაო შეთანხმების ლიმიტს ბევრად ჩამოუვარდებოდა.[3] მხოლოდ 1939 წელს, დიდი ბრიტანეთის მიერ ომის გამოცხადების შემდეგ, დაიწყო წყალქვეშა ნავების წარმოება და ეკიპაჟის გადამზადება, რომლებიც 1942 წელს ინგლისისთვის სერიოზულ თავის ტკივილად იქცნენ.

რადარის გაუმჯობესებამ და ატლანტის ოკეანის სრულმა საჰაერო დაზვერვამ 1943 წლის მაისში ინგლისის წინააღმდეგ გამოყენებული ყველაზე წარმატებული ძალა ერთი დარტყმით გაანეიტრალა. ამ წარმატების გადამწყვეტ მნიშვნელობას ომის მსვლელობისას არაერთხელ გაუსვა ხაზი ჩერჩილმა. დიდი ჯაფის ფასად აგებულმა წყალქვეშა ფლოტმა ერთ ღამეში დაკარგა თავისი მნიშვნელობა. წარმატებები მინიმუმამდე დავიდა, ხოლო დანაკარგები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1943 წლის ზაფხულში საშუალოდ ყოველი მე-2, მე-3 წყალქვეშა ნავი მტერს რჩებოდა და ახლად აგებულ ხომალდებსაც ნაკლები შანსი ჰქონდათ, რომ მტერთან ორზე მეტი შეხვედრისთვის გაეძლოთ. მსხვერპლსა და წარმატებას შორის ასეთი კატასტროფული შეფარდების მიუხედავად, ეკიპაჟების მოქმედებაში ჩართვის სურვილი და საბრძოლო სულისკვეთება ომის ბოლო დღემდე სტაბილურ, საუცხოოდ მაღალ მაჩვენებელზე რჩებოდა, რაც ჯარის დიონიცისეული მართვის წარმატებაზე მიუთითებდა, რომელიც მის მთავარ ღირსებას წარმოადგენდა.

ამ იარაღის შესაძლებლობების დაცემის შემდეგ დიონიცი მთელი თავისი ენერგიით გადაერთო წყალქვეშა ნავების ახალი ტიპების შექმნაზე.

---

2 ვერმახტის 3 „ნაწილი“ (გვარეობა) იყო ჰეერი (სახმელეთო არმია), ლუფტვაფე (საჰაერო ძალები) და კრიგსმარინე (საზღვაო ძალები).

3 ლონდონის კონფერენცია 1935 წლის 9 დეკემბერს გაიხსნა და საზღვაო შეიარაღების შეზღუდვას ეხებოდა.

პრობლემა მოკლე ხანში გადაიჭრა. აქამდე არსებული „ჩასაყვინთი ნავისგან“ წარმოიშვა ნამდვილი „წყალქვეშა ნავი“,[4] რომელიც მუდმივად წყალქვეშ ჩერდებოდა და, როგორც წარმატებებმა დაადასტურეს, სრულიად არიდებდა თავს მტრის რადარსა და საჰაერო დაზვერვას. მაღალმა წყალქვეშა სიჩქარემ და თანამედროვე აღმომჩენმა სისტემებმა გემების ქარავნებისა და მათი საესკორტო ხომალდების წინააღმდეგ წარმატების დიდი ალბათობა განაპირობეს.

1944 წლის შემოდგომიდან ეს ახალი ტიპის ნავები მზარდი რაოდენობით ტოვებდნენ ქარხნებს, თუმცა მათ პრაქტიკულ გამოყენებას ხელი შეუშალა 1945 წლის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა. ის, რომ მის იარაღს აღარ შეეძლო გადამწყვეტი გავლენის მოხდენა, დიონიცმა საბოლოოდ გაიაზრა რუსების იანვრის შეტევისას[5], როცა კრიგსმარინეს პრიორიტეტებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს.

1944 წლის ზაფხულში ფინეთის დაკარგვით დაიწყო გერმანული ჯარების მასშტაბური რეპატრიაცია ზღვით. ეს ოპერაცია გაგრძელდა ბალტიის ფრონტების მოშლისა და ნორვეგიიდან სამხედრო შენაერთების უკუსვლის დროსაც და თავის ზენიტს მიაღწია 1945 წლის დასაწყისში გერმანული მოსახლეობის ევაკუირებით აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიიდან და საბოლოოდ პომერანიიდანაც. ამისთვის გამოვიყენეთ თუნდაც ნახევრად გამოსადეგი და რაიმენაირად ხელმისაწვდომი სამხედრო თუ სავაჭრო ფლოტი, რომლებიც განუწყვეტლივ იყვნენ ოპერაციაში ჩართული. მაშინ, ჩაბარებული ანგარიშების მიხედვით, ზღვით დაახლოებით 2 მილიონი გერმანელი გადაურჩა რუსულ მარწუხებს. ამ დავალების შესრულება დიონიცისთვის ომის ბოლო თვეებში წინა პლანზე იდგა და უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაუყოვნებლივ კაპიტულაციაზე ფიქრი. ამიტომ ის მიესალმა ჰიტლერის გადაწყვეტილებას აპრილის დასაწყისში, რომ ტრანსპორტის უკეთ სამართავად მას სრული უფლება მისცემოდა ჩრდილოეთ გერმანიაში ქვანახშირისა და საწვავის განაწილებაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ, თუ სწორად მახსოვს 10 აპრილს,[6] ძალაში შევიდა ჰიტლერის გეგმა მეთაურობის დანაწილებასთან დაკავშირებით რაიხის ჩრდილოეთ (დიონიცი) და სამხრეთ (კესელრინგი) ნაწილებად დაყოფით. რადგანაც ეს დაყოფა მხოლოდ წინასწარი იყო და არ ითვალისწინებდა აღმასრულებელ ძალაუფლებას, მზადებისას მხოლოდ ინფორმაციულ და ორგანიზაციულ დირექტივად იყო აღქმული. დიონიცმა ეს სამზა-

---

4 ჩასაყვინთი ნავისგან (Tauchboot) განსხვავებით, წყალქვეშა ნავს (Unterseeboot) შეუძლია დამოუკიდებლად ხანგრძლივი ოპერაციის წარმოება და გასაშვებად არ საჭიროებს სხვა ხომალდს.

5 იგულისხმება ვისლა-ოდერის ოპერაცია.

6 ავტორს აქ შეცდომა მოსდის, უნდა იყოს 15 აპრილი (შდრ. ინგლისურ თარგმანს Lüdde-Neurath 2010: 41).

დისი თავის ახალ შტაბ პლიონში 22 აპრილიდან დაიწყო, როცა ნათელი გახდა, რომ ჩვენი მოწყვეტა ბერლინისგან მისი თითქმის სრული იზოლაციის გამო უკვე შეუქცევადი იყო. ამასობაში დიონიცზე გადავიდა ჩრდილოეთ რეგიონში სამოქალაქო სექტორზე ტერიტორიული ძალაუფლება (20.04), თუმცა ოპერატიული ძალაუფლების გადაბარებისთვის აუცილებელი წინაპირობა ჯერ ძალაში არ იყო შესული, კერძოდ ჰიტლერს (ბერლინიდან) OKW-ს[7] მეშვეობით (რაინსბერგში) ქვეყნის მართვის სადავეების თავის ხელში შენარჩუნება საკუთარ აღსასრულამდე სურდა.

ეჭვი არ მეპარება, რომ დიონიცის უპირველესი საზრუნავი ჩრდილოეთის მთელი ძალებით დაცვა იყო, რისი მთავარი მიზეზიც იყო შინაგანი რწმენა ზემოთმოყვანილი დავალების აუცილებლობისა. მისმა ჯარისკაცულმა დისციპლინამ, ხელისუფლებისადმი ერთგულებამ და ამავდროულად მისმა წინარე ქმედებებმა დიდი როლი ითამაშეს რაიხის, საზღვაო ფლოტისა და თავად მის მიერ ომის ღირსეულად დასრულებაში, რასაც, მისი აზრით, ღალატი, რენეგატობა და მათგან გამოწვეული ქაოსი უქმნიდა საფრთხეს.

ამისთვის მან ჩრდილოეთგერმანული რეგიონის დაცვის შესაძლებლობა განიხილა გენერალ კინცელთან[8], სპეციალურად ამისთვის ჩამოყალიბებული სამეთაურო შტაბ ჩრდილოეთის მმართველთან, გაულაითერ ვეგენერთან[9], რომელიც დიონიცის რჩევით, ჰიტლერმა დანიშნა ჩრდილოეთში რაიხის თავდაცვის უზენაეს სამოქალაქო კომისრად, და სხვა სპეციალისტებთან.

ამ გამოკვლევის შედეგი იყო იმის გააზრება, რომ ჩრდილოეთის ხანგრძლივი დაცვა სრულიად წარმოუდგენელი იყო. განხილულ რეგიონში (მეკლენბურგი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ჩრდილოეთ ქვემო საქსონია) იარაღის ქარხნებიდან მიწოდება უკვე შეუძლებელი იყო. მაგალითად აქ მძიმე შეიარაღებასა და პანცერფაუსტებს[10] უკვე საერთოდ აღარ აწარმოებდნენ. უნდა დავჯერებოდით იმას, რაც გვქონდა.

მსგავსი მდგომარეობა იყო საწვავის (ბენზინი და ქვანახშირი) მიწოდების საკითხშიც. თუ რამდენად კატასტროფული იყო მდგომარეობა, საუკეთესოდ ჩანს იქიდან, რომ სერიოზულად განვიხილავდით რკინიგზის ქვანახშირიდან ხის წვაზე გადაყვანას.

---

7 Oberkommando der Wehrmacht – ვერმახტის უმაღლესი სარდლობა.

8 ებერჰარდ კინცელი (1897-1945) – გენერალი, სამეთაურო შტაბ ჩრდილოეთის მმართველი.

9 პაულ ვეგენერი (1908-1993) – ნაცისტური პარტიის წევრი, ვეზერ-ემსის გაულაითერი (პარტიის ადგილობრივი მმართველი) და აგრეთვე ბრემენისა და ოლდენბურგის რაიხსშტატჰალტერი (გუბერნატორი), ომის ბოლოს ჩრდილოეთში რაიხის თავდაცვის უზენაესი სამოქალაქო კომისარი.

10 Panzerfaust – ხელით სატარებელი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

საკვები საკმარისი გვქონდა მანამ, სანამ მეკლენბურგს ვინარჩუნებდით, სადაც ძირითადი მარაგი იყო შენახული, განსაკუთრებით კარტოფილის. რაინსბერგში OKW-სთან სტუმრობისას, 28 აპრილს,[11] დიონიცი ესაუბრა გენერალმაიორ ფონ ტროთას,[12] არმიის ჯგუფ ვისლას შტაბის უფროსს, რომელიც ახლა უკვე ოდერის გამოღმა იმყოფებოდა. ფონ ტროთა ირწმუნებოდა, რომ, OKW-ს იმედების მიუხედავად, მეკლენბურგის შენარჩუნება გამორიცხული იყო. შესაბამისად, ხანგრძლივი წინააღმდეგობა კვების კუთხითაც შეუძლებელი გახდა.

სამხედრო მდგომარეობის შესახებ დამატებითმა თავმა, ვიმედოვნებ, ცხადი გახადა, რომ ჩრდილოეთ რეგიონის დაკავება მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეთა სურვილსა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც გვქონდა დრო, რომლის გახანგრძლივებასაც დიონიცი სპეციალური ზომების მიღებით ცდილობდა, რათა ჯარების რეპატრიაცია დაეჩქარებინა და რაც შეიძლება მეტი რეისის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. ის ამ მიმართულებით წარმოებულ სახმელეთო ოპერაციებზეც ახდენდა გავლენას, რათა ისინიც სწრაფად და მოწესრიგებულად ჩატარებულიყვნენ. მართალია ეს მხარე მძიმე დღეში იყო, მაგრამ დიონიცმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია.

მიუხედავად ამისა, მან უარყო ნაადრევი ინდივიდუალური მოქმედება, რომელიც ამ ოპერაციას, რეგიონში წესრიგსა და მის დაცულობას საფრთხეს შეუქმნიდა. შესაბამისად, მან არ დაუჭირა მხარი ჰამბურგის დამოუკიდებელ კაპიტულაციას, რაც გაულაითერმა კაუფმანმა[13] ქალაქის სამხედრო მეთაურთან ერთად თვითნებურად გადაწყვიტა. ამის შესახებ ცნობები დიონიცმა მიიღო როგორც ჩრდილო-დასავლეთის მთავარსარდლის, ფელდმარშალ ბუშის[14], ისე განსაკუთრებით საშინაო SD-ს[15] მეთაურის, სამთავრობო დეპარტამენტის უფროსისა და გრუპენფიურერ ოლენდორფისგან[16], რომლის საინფორმაციო ქსელი შესანიშნავად ფუნქციონირებდა. მან კაუფმანის მიმართვა სიტყვასიტყვით გააცნო დიონიცს მანამ, სანამ მას საერთოდ გაუშვებდნენ ჰამბურგის რადიოში. დიონიცისთვის ჰამბურგის დაკარგვა კითხვის

---

11 ავტორს შეცდომა მოსდის, სწორი თარიღია 27 აპრილი (იხ. Lüdde-Neurath 2010: 131 და მეორე სექციის პირველი თავის 54-ე შენიშვნა).

12 ივო-თილო ფონ ტროთა (1905-1998) – ბრიგადის გენერალი, 1945 წლის აპრილში დანიშნეს არმიათა ჯგუფ ვისლას გენერალური შტაბის მეთაურად.

13 კარლ კაუფმანი (1900-1969) – ნაცისტური პარტიის წევრი, ჰამბურგის გაულაითერი და რაიხსშტატჰალტერი.

14 ერნსტ ბერნჰარდ ვილჰელმ ბუში (1885-1945) – ფელდმარშალი, 1945 წლის 20 მარტიდან მეთაურობდა არმიათა ჯგუფ ჩრდილო-დასავლეთს.

15 Inland-SD – SD-ს (ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაცვის სამსახურის) ერთ-ერთი დეპარტამენტი, რომელიც ქვეყნის შიგნით წესრიგზე იყო პასუხისმგებელი.

16 ოტო ოლენდორფი (1907-1951) – SS-ის გრუპენფიურერი, საშინაო SD-ს მეთაური, მასობრივი მკვლელობების მომწყობი აღმოსავლეთის ფრონტზე.

ნიშნის ქვეშ აყენებდა მის მიზანს – შლეზვიგ-ჰოლშტაინის შენარჩუნებას აღმოსავლეთიდან მომავალი ლტოლვილების ნაკადისთვის. კაუფმანი ჩვენთან შეხვედრისგან თავს იკავებდა, ხოლო სატელეფონო საუბრებმა და ტელექსებმა, მათი კორექტულობის მიუხედავად, შედეგი არ გამოიღო. კაუფმანის მიმართვის ტრანსლაცია ჩვენ 30 აპრილს შუადღისას ჩაგვივარდა ხელში, რომელშიც პწკარებს შორის კარგად ჩანდა მისი მიზნები. ამ დროს დიონიცი ლიუბეკში უნდა გამგზავრებულიყო ჰიმლერთან[17] შესახვედრად. ჰამბურგის საკითხში ორივე თანხმდებოდნენ და დიონიცმა მე მიბრძანა კაუფმანისთვის პასუხის დაწერა, თუმცა ჰიმლერმა თავადაც დაიწყო იმპროვიზებული საპასუხო წერილის კარნახი. დიონიცმა სცადა მისი შეჩერება და უთხრა, ლიუდე ამას უკვე აკეთებსო, მაგრამ უშედეგოდ. რადგანაც ჰიმლერის ემოციური ნაკარნახევი უფრო პათეტიკური იყო, ვიდრე საქმიანი, დიონიცმა თავისი ხელმოწერით მხოლოდ ჩემი ვარიანტი დაამშვენა.

დიონიცის ტელექსი კაუფმანს 30 აპრილის საღამოს[18]
შენს 30 აპრილის ტელექსს ვპასუხობ:

1. მოცემულ მომენტში სამხედრო მეთაურობის მთავარი საზრუნავი არის გერმანული მიწისა და გერმანელი ერის გადარჩენა ბოლშევიზმისგან. შესაბამისად, ჩვენი ყურადღება ეთმობა ძირითადად აღმოსავლეთს. ყველაფერი კეთდება, რათა მეკლენბურგში რუსული წინსვლა შევაჩეროთ ან რაც შეიძლება დიდი ხნით დავაყოვნოთ, რათა შესაძლებელი გახდეს გერმანელი ხალხის სვლა დასავლეთით.
2. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ღია იქნება კარი დასავლეთისკენ, რომელიც იალტაში შეთანხმებული[19] საოკუპაციო ზონების საზღვარზე მდებარეობს. ელბა-ტრავეს არხის ინგლისელების მიერ დაბლოკვის შემთხვევაში, შვიდი მილიონი ძვირფასი გერმანელი რუსების ნება-სურვილის იმედზე დარჩება.
3. შესაბამისად, სრულიად აუცილებელია ელბის პოზიციის სრული სიმტკიცით დაცვა დასავლეთისგან. თუ ამ დავალების შესრულების შედეგად ქონება განადგურდება, ის ათასმაგად გამართლებული იქნება აღმოსავლეთში გერმანული სისხლის გადარჩენის შედეგად. ეს არ ითვალისწინებს პორტე-

[17] ჰაინრიხ ჰიმლერი (1900-1945) – მაღალჩინოსანი ნაცისტი, SS-ის (შუცშტაფელის) რაიხსფიურერი. მას ჩაბარებული ჰქონდა საკონცენტრაციო ბანაკები.

[18] 21:00 საათზე (Lüdde-Neurath 2010, დანართი 4).

[19] იგულისხმება 1945 წლის 4-11 თებერვალს მიმდინარე იალტის კონფერენცია.

ბისა და ინდუსტრიული კომპლექსების განადგურებას, რასაც ყველანაირად უნდა აარიდოთ თავი.

4. წინამდებარე ამოცანის აბსოლუტური მხარდაჭერით შეგიძლიათ თქვენ და ქალაქ ჰამბურგს უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშოთ ჩვენი ერის საბედისწერო ბრძოლაში.

ჰაილ ჰიტლერ!
დიონიცი
გროსადმირალი

ამ დოკუმენტის წერილობითი ასლი მოვიყვანე, რადგან ის კარგად გვიჩვენებს დიონიცის ფიქრებსა და შეხედულებებს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის გაიგებდა ჰიტლერის სიკვდილისა და საკუთარი მემკვიდრეობის შესახებ. როდესაც დიონიცმა ქვეყნის მეთაურად გახდომის შემდეგ ჩრდილოეთში მეომარ სამხედრო ნაწილებზე ძალაუფლება მოიპოვა, კაუფმანის სიჯიუტისა და სწრაფად განვითარებადი მოვლენების ფონზე გადაწყვიტა ჰამბურგის უბრძოლველად დათმობა და მებრძოლებს ქალაქის დატოვება უბრძანა. ეს 2 მაისს მოხდა. ქალაქის ჩაბარება არ იყო მიზანშეწონილი მონტგომერისთან[20] 2 მაისის საღამოს მოლაპარაკებების დაწყებამდე და ამიტომაც გადავდეთ კაპიტულაცია ამ დღემდე.

ჩრდილოეთში კაპიტულაციის შესავალი
(ტელეფონით გადაცემული OKW-ს ბრძანება ჰამბურგის მეთაურს 02.05.1945 საღამოს)

1. ქალაქისა და მოსახლეობის სრული განადგურებისგან დასაცავად ქალაქის დაცვა არ არის ჩვენს გეგმაში.
2. 3 მაისის 08:00 საათზე, ინგლისელთა შემოთავაზების შესაბამისად, გამოიგზავნება მოლაპარაკებებისთვის უფლებამოსილი პირი, რომელსაც სრული უფლება აქვს დაეთანხმოს, რომ:
   ა) ჰამბურგს არ დავიცავთ;
   ბ) გერმანული ჯარები ბრძოლის გარეშე დაიხევენ უკან ელბაზე. უფლებამოსილი პირის შერჩევა დღეს მოხდება. მასთან ერთად შეირჩევა OKW-ს დელეგაცია. მისი შემადგნელობა იქნება 2 ადმირალი, ერთი გენერალი და მათი თანაშემწეები 4 ავტომობილში. დელეგაციას ევალება შემდგომი საკითხების განხილვა. 3 მაისს შუადღემდე ამ დელეგაციის მისაღებად ინგლისური 21-ე

[20] ბერნარდ მონტგომერი (1887-1976) – ბრიტანელი ფელდმარშალი, 1944-1945 წლებში 21-ე არმიათა ჯგუფის მეთაური.

> არმიის ჯგუფის მთავარსარდლის მზადყოფნა და შეხვედრის ადგილი ჯერ კიდევ გასარკვევია.
>
> კაიტელი[21]
> გენერალფელდმარშალი

საბოლოო ჯამში, ჩრდილოეთის დაცვის ბრძანების შესრულება დიონიცის მიერ იყო შეუძლებელი დავალება და ის ოფიციალურად არც შესულა ძალაში. როცა 30 აპრილს დიონიცზე გადავიდა საერთო პასუხისმგებლობა, მდგომარეობიდან გამომდინარე, ხანგრძლივი თავდაცვა გამორიცხული იყო და არც ომის დამთავრების მისეულ კონცეფციაში ჯდებოდა. მიუხედავად ამისა, „ჩრდილოეთის დაცვის" ბრძანებამ დიონიცი უფრო დიდი მისიის შესრულებისთვის მოამზადა.

[21] ვილჰელმ კაიტელი (1882-1946) – გერმანელი ფელდმარშალი და ვერმახტის უმაღლესი სარდლობის მეთაური.

თავი 4

ჰიტლერის მემკვიდრეობის შესახებ

1943 წლის 30 იანვარს დიონიცი გახდა კრიგსმარინეს მთავარსარდალი. მისმა წინამორბედმა, გროსადმირალმა რაედერმა[22], უარი თქვა ჰიტლერის ბრძანებაზე ყველა მძიმე სამხედრო გემის საბრძოლო ექსპლუატაციის შეწყვეტის შესახებ – და იძულებული გახდა გადამდგარიყო. ჰიტლერის პოზიციის მიზეზი იყო მძიმე გემების მიერ მიღწეული „ხელშესახები“ წარმატებების ნაკლებობა 1941 წლის მაისში „ბისმარკის“[23] ჩაძირვის შემდეგ. კრიზისის მთავარი მიზეზი იყო 1942 წლის 31 დეკემბერს არქტიკაში საზღვაო ქარავნის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის წარუმატებლობა[24], რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებდით. იმ დილით ასე ჩანდა, თითქოს არქტიკაში მყოფმა გერმანულმა სამხედრო საზღვაო ძალებმა არაერთი წარუმატებელი ცდის შემდეგ საბოლოოდ მოახერხეს საესკორტო ხომალდების გაფანტვა და მურმანსკისადმი გამიზნული ქარავნის მიზანში ამოღება. წყალქვეშა ნავის ახალგაზრდა მეთაურის ნაადრევმა რადიოშეტყობინებამ: „შეტაკებამ ზენიტს მიაღწია, მხოლოდ წითელს ვხედავ“ ტყუილი იმედები გააღვივეს როგორც „ლურჯი ცარის“ შტაბში, ასე ეძახდნენ ადმირალ კარლსს[25], საზღვაო ჯგუფ ჩრდილოეთის მთავარსარდალს კილში – ისე ფიურერის შტაბში, რამაც ბუნებრივია ჰიტლერის ყურამდეც მიაღწია. ის მეორე დღის სიტუაციურ მოხსენებაში აღელვებული ელოდა რაიმეს, რაც „ზონდერმელდუნგის“[26] საბაბს მისცემდა. ამის ნაცვლად მან მიიღო მოკრძალებული ანგარიში, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარემ თითო საესკადრო ნაღმოსანი ჩაძირა და თითო მძიმე კრეისერი დააზიანა.

ჰიტლერმა რაედერის შემცვლელად დიონიცი აირჩია, რადგან მასში დაინახა წყალქვეშა გვარეობის[27] ტიპური წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე მეტად გაიგებდა ჰიტლერის გეგმებს და ითანამშრომლებდა მასთან. ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. თავდაპირველად დიონიცმა გულწრფელი

---

22 ერიხ იოჰან ალბერტ რაედერი (1876-1960) – გროსადმირალი, კრიგსმარინეს მთავარსარდალი 1935-1943 წლებში.

23 გერმანული სახაზო გემი, ჩაძირეს ბრიტანელებმა 1941 წლის 27 მაისს.

24 იგულისხმება ბარენცის ზღვის ბრძოლა.

25 როლფ კარლსი (1885-1945) – კრიგსმარინეს გენერალადმირალი, საზღვაო ჯგუფ ჩრდილოეთის მთავარსარდალი.

26 ვერმახტის სპეციალური კომუნიკე, რომელიც რაიმე განსაკუთრებულ სიახლეს, ხშირად სამხედრო წარმატებას, აცნობდა ხალხს (Lüdde-Neurath 2010: 49)

27 ჯარების გვარეობა – შეიარაღებული ძალების სახეობის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს სამხედრო ფორმირებებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ძირითადი შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და მათი საბრძოლო გამოყენების ხერხები (ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი 2017: 620).

მხარდაჭერა გამოუცხადა მას, თუმცა მალე თავისმა შტაბმა დაარწმუნა, რომ ჰიტლერის გეგმა და მისი მხარდაჭერა არ იყო სწორი. ამიტომ ის კვლავ გაფრინდა ფიურერის შტაბში და სთხოვა გადაწყვეტილების შეცვლა. ამ დროს მოხდა ამ ორს შორის პირველი და ერთადერთი სერიოზული დაპირისპირება. ჰიტლერმა უკან დაიხია.

ამიერიდან ჰიტლერი დიონიცს მუდამ თავაზიანად და ყურადღებით ეპყრობოდა და მხოლოდ და მხოლოდ „ბატონ გროსადმირალს“ ეძახდა. იშვიათად რომ მას შენიშვნა მიეღოს; როცა ეს ხდებოდა, ჰიტლერი მხოლოდ საქმიანი ტონით უყვავებდა, რომლის დროსაც დიონიციისეული პასუხების თავისუფლება და თავდაჯერებულობა სხვა ავტორიტეტულ პირებს შორის აშკარად გამოირჩეოდა. ჰიტლერი მას არასოდეს „უყვიროდა“.

მეორე მხრივ, თავად დიონიციც ცდილობდა თავისი უზენაესი მთავარსარდლის ნდობის მოპოვებას, რასაც ის მის მზრუნველობაში მყოფი ვერმახტის ნაწილის მართვისთვის აუცილებლად მიიჩნევდა. ეს მან მოახერხა თავის პასუხისმგებლობის სფეროში ყველა საკითხში სრული პირდაპირობით. არცერთი წარუმატებლობა არ იყო ჩაფარცხული; საკუთარ შეცდომებს თავად ამხელდა, სანამ ეჭვი და აქედან უნდობლობა გაჩნდებოდა. მომავალი ან შესაძლო სირთულეების შესახებ წინასწარ იყო ცნობილი, მაგალითად: წყალქვეშა ომის შესაძლო მარცხი 1943 წლის დასაწყისში, „ტირპიცის“[28] დაკარგვის საფრთხე 1944 წლის მიწურულს და ბოლოს ახალი ტიპის, მტრის დაზვერვისთვის სრულიად შეუმჩნეველი, წყალქვეშა ნავების ოპერატიული მზადყოფნის დაგვიანება.

დიონიცი გამიზნულად იზღუდავდა თავს კრიგსმარინეს საქმეებით და არ ერეოდა პოლიტიკაში, არმიის სარდლობასა და სხვა სფეროებში, თუმცა თავის მხრივ არც სხვათა ჩარევას უშვებდა კრიგსმარინეს საქმიანობაში. ურთიერთნდობისა და ყურადღების გამო ფიურერის შტაბში მას სპეციალური პოზიცია ჰქონდა გამოყოფილი. კრიგსმარინე იყო ერთადერთი სფერო, ყოველ შემთხვევაში ვერმახტის ერთადერთი ნაწილი, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა და რომლის საქმეშიც ცხვირის ჩაყოფას უცხო პირი ვერ გაბედავდა. თვით 1944 წლის ნოემბერში ჰიტლერის მიერ სახალხო სასამართლოების სასარგებლოდ ვერმახტის იურისდიქციის შეზღუდვაც კი კრიგსმარინეს არ შეხებია. „ნაცისტი სამეთაურო ოფიცრების“ საკითხშიც დიონიცმა სპეციალური დადგენილება გამოსცა, რომლითაც პარტიამ კრიგსმარინეზე ყველანაირი გავლენა დაკარგა.

ნდობისა და ყურადღების მიღმა ომის ბოლო წელს აშკარად ჩანდა ჰიტლერის ღელვა გროსადმირალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ამ სადარდებელს ადასტურებდა ნაადრევად გამკაცრებული ფრენის აკრძალვა, საჰაერო განგაშის დროს ბუნკერში დიონიცის ხშირი მოკითხვა („ახლა აღარაფერი დაგვრჩენია, უნდა წავიდეთ“ იყო ხოლმე დიონიცის პა-

[28] ბისმარკის კლასის სახაზო გემი, ჩაძირეს ბრიტანელებმა 1944 წლის 12 ნოემბერს.

სუხი ჩემს მოხსენებაზე) და საბოლოოდ რაიხის ტერიტორიის დატოვების აკრძალვა. ასე მაგალითად დიონიცს 1944 წლის შობის გატარება, როგორც წინა წლებში, ახლაც ჯარისკაცებთან ერთად სურდა ფრონტზე. ჰიტლერის სურვილის გათვალისწინებით, ის იძულებული გახდა ლიბაუში მგზავრობა და სათადარიგოდ გამიზნული მგზავრობა ნორვეგიაში ჩაეშალა, რის ნაცვლადაც კრიგსმარინეს სამხედრო ნაწილები მოინახულა კუქსჰაფენში, აქაც მკაცრი უსაფრთხოების ზომების გატარებით.

მემკვიდრეობასთან დაკავშირებით რაიმე დასკვნების გამოტანა – თუ ჰიტლერი დიონიცს ამ კუთხით უკვე ასე ადრე განიხილავდა – არც მას და არც ვინმე სხვას არ შეეძლო, რადგან ეს საკითხი ჰიტლერს არცერთხელ არ უხსენებია და ეს არც დიონიცის მთავარ საზრუნავს არ წარმოადგენდა.

* * *

ჰერმან გიორინგი[29] ფიურერისა და რაიხსკანცლერის მიერ ომის დაწყებისას რაიხსტაგში გამოსვლისას გარკვევით იყო დასახელებული „მეორე კაცად ქვეყანაში" და მემკვიდრედ.[30]

თუმცა მისი მზე ლუფტვაფეს დაცემასთან ერთად ჩაესვენა. 1944 წლის შემოდგომაზე გიორინგის მემკვიდრეობა შტაბში არა მხოლოდ წარმოუდგენლად, არამედ მიუღებლადაც მიიჩნიეს. კარგად მახსოვს ის მხიარულება, რაც 1944 წლის ოქტომბერში გიორინგის რეპლიკამ გამოიწვია, რომელიც მას თითქოსდა ფიურერის წინაშე წამოსცდა: „ღმერთმანი, მკვლელობა რომ წარმატებული ყოფილიყო,[31] მე მომიწევდა მის შედეგებთან გამკლავება". ამ რეპლიკამ, როგორც დღის ხუმრობამ, მთელი შტაბი მოიარა და ის გრუპენფიურერ ფეგელაინმაც[32] გაიმეორა იმ საღამოს დიონიცისა და ჰიმლერის ერთადერთ არაოფიციალურ შეხვედრაზე, რომელსაც

---

29 ჰერმან გიორინგი (1893-1946) – მესამე რაიხის ერთ-ერთი ლიდერი. ლუფტვაფეს მეთაური და რაიხსმარშალი.

30 ავტორის შენიშვნა: ამონარიდი ჰიტლერის გამოსვლიდან რაიხსტაგის წინაშე, 1939 წლის 1-ლი სექტემბერი, პარასკევი (ის მონაკვეთი, რომელიც მემკვიდრეობის საკითხს ეხება):

„...მე კვლავ იმ შესამოსლით ვარ შემოსილი, რომელიც ყველაზე წმინდა და ძვირფასია ჩემთვის. მე მას არ მოვიცილებ, სანამ გამარჯვება არ იქნება მოპოვებული, თუ არა და მე არ მოვესწრები დასასრულს!

ამ ბრძოლისას თუ რაიმე დამემართება, პარტიის წევრი გიორინგი გახდება ჩემი პირველი მემკვიდრე. თუ პარტიის წევრ გიორინგს დაემართება რაიმე, შემდეგი არის პარტიის წევრი ჰესი. თქვენ ახალ ფიურერსაც იმავე ბრმა რწმენითა და მორჩილებით უნდა მისდიოთ, როგორც მე. თუ რაიმე დაემართება პარტიის წევრ ჰესს, კანონით ვავალებ სენატს, რომ ყველაზე ღირსეული ე. ი. უმამაცესი ადამიანი აირჩიოს თქვენ შორის".

31 იგულისხმება 1944 წლის 20 ივლისის თავდასხმა ჰიტლერზე.

32 ჰერმან ფეგელაინი (1906-1945) – SS-ის გრუპენფიურერი, ჰიმლერის მეკავშირე ოფიცერი ჰიტლერის შტაბში, ევა ბრაუნის სიძე.

მეც ვესწრებოდი ადიუტანტის როლში. აქაც ხმამაღალი ხარხარი გაისმა, თუმცა ჰიმლერი მოულოდნელად დასერიოზულდა და დიონიცს მიუბრუნდა: „ერთი რამ არის ნათელი, ბატონო გროსადმირალო, რაიხსმარშალი არცერთ შემთხვევაში არ გახდებოდა მემკვიდრე“. დიონიცმა პასუხისგან თავი შეიკავა, რაც მე თანხმობად ჩავთვალე. მაშინ მეგონა, რომ ჰიმლერის ასეთი პირდაპირი განცხადება ემყარებოდა ჰიტლერის ჩემთვის უცნობ განკარგულებას, რომელიც ან მემკვიდრედ სხვას ასახელებდა, ან უბრალოდ გიორინგის მემკვიდრეობას აუქმებდა. ახლა კი უფრო სავარაუდოდ მივიჩნევ, რომ ჰიმლერის სიტყვები აჩვენებდნენ თავად მის გადაწყვეტილებას, რომ გიორინგი მემკვიდრედ არ ეღიარებინა.

ის, რომ თავად ჰიტლერისთვისაც ეს იდეა აღარ იყო მისაღები, ჩანდა გიორინგისადმი მის აშკარად უფრო და უფრო ცივ დამოკიდებულებასა და თავშეკავებულობაში. ეს შეხედულება დაადასტურა ფიურერის ადიუტანტმა, რომელთანაც მე 1945 წლის აპრილის დასაწყისში მემკვიდრეობის საკითხზე მქონდა დისკუსია რაიხის კანცელარიის ბუნკერში. მაშინ მან ჩემთვის პირველად გააჟღერა დიონიცის არჩევის შესაძლებლობა და დაამატა: „ვინც არ უნდა იყოს, ეს არ იქნება რაიხსმარშალი“.

ჰიტლერის ბრძანებამ გერმანიის დაყოფისას მეთაურობის გადანაწილების შესახებ (კესელრინგი სამხრეთში, დიონიცი ჩრდილოეთში) მეტი ნათელი მოჰფინა ამ საკითხს. თუმცა გიორინგის კანდიდატურა მე-3 რაიხის ტახტზე ოფიციალურად მხოლოდ 23 აპრილს მოიხსნა. ამ დღის საღამო ხანებში – როცა ჩვენ უკვე პლიონში ვიყავით გადასულები – რაიხის კანცელარიიდან დაგვირეკა ბორმანმა[33]: „ჰერმანმა სამხრეთში პუტჩი მოაწყო და ჩრდილოეთ რეგიონის მეთაურობის დიდ ნაწილს თავისთან გამოცხადება უბრძანა. ნებისმიერი საშუალებით უნდა შეუშალოთ ხელი რეგიონალური მთავრობის მასთან მისვლას. ფიურერმა გიორინგს ყველა პოსტი ჩამოართვა და გენერალ-პოლკოვნიკი რიტერ ფონ გრაიმი[34] დანიშნა ლუფტვაფეს მთავარსარდლად და ფელდმარშლად“. ამ შეტყობინების უტყუარობა გროსადმირალმა ფიურერის შტაბში თავისი მეკავშირე ოფიცრის, ვიცე-ადმირალ ვოსის[35] მეშვეობით გადაამოწმა და ლუფტფლოტე რაიხის მთავარსარდლის, გენერალ შტუმპფის[36] მეშვეობით, ლუფტვაფეს ჩრდილოეთ რეგიონში ფრენების განხორციელება აუკრძალა. რაიხსმარშალის წინააღმდეგ მისაღები სხვა ზომების, განსაკუთრებით კი 30.04-ის დახვრეტის

---

33 მარტინ ბორმანი (1900-1945) – მაღალჩინოსანი ნაცისტი და პარტიის კანცელარიის უფროსი, ფიურერის მდივანი.

34 რობერტ რიტერ ფონ გრაიმი (1892-1945) – ფელდმარშალი და ლუფტვაფეს უკანასკნელი მთავარსარდალი.

35 ჰანს-ერიხ ვოსი (1897-1969) – ვიცე-ადმირალი, დიონიცის მეკავშირე ოფიცერი ფიურერის ბუნკერში.

36 ჰანს-იურგენ შტუმპფი (1889-1969) – ლუფტვაფეს გენერალი, ლუფტფლოტე რაიხის მთავარსარდალი.

ბრძანების („ჩვენი სიკვდილის შემდეგ 23 აპრილის მოღალატეები უნდა დახვრიტოთ“, ხელმოწერილია ბორმანის მიერ) შესახებ დიონიცმა მხოლოდ ციხეში ყოფნისას შეიტყო.

გიორინგის ახსნამ ბად მონდორფში საერთო პატიმრობაში ყოფნისას და მის გარემოცვაში მყოფი ადამიანების მონათხრობმა დამარწმუნეს, რომ ის „ღალატისგან“ შორს იდგა. ის ჰიტლერისგან მოწყვეტილი იყო, შეიტყო ბერლინის სრული იზოლაციის შესახებ, იფიქრა, რომ ის უკვე თამაშს გამოეთიშა და საკუთარი თავი ჩათვალა ვალდებულად, რომ ემოქმედა, რასაც მას ციტირებული და ჯერ კიდევ მოქმედი რაიხსტაგის გამოსვლა ავალდებულებდა, რომელიც 1941 წლის 29 ივნისის საიდუმლო განკარგულებით კიდევ უფრო გამყარებული იყო. ამ დროს ჰიტლერს გადაწყვეტილი ჰქონდა ჯერ კიდევ არსებული კომუნიკაციებზე დაყრდნობით OKW-სა და ბერლინის განთავისუფლების ხელმძღვანელობა და იმ ემოციურად დატვირთულ პერიოდში გიორინგის თვითშემოქმედება ღალატად აღიქვა.

მაგრამ კითხვა, თუ გიორინგის ნაცვლად ვინ უნდა გამხდარიყო ჰიტლერის მემკვიდრე, პასუხგაუცემელი რჩებოდა. დიონიცი ფსონს ჰიმლერზე დებდა, რომლის პოზიციაც ომის მიმდინარეობასთან ერთად მრავალი ახალი განყოფილებისა და დავალების მის ხელში გადასვლის შედეგად უძლიერესი გახდა სახელმწიფოში. ბოლო დროს ჰიმლერის ქცევაც შეხვედრებისას იმაზე მიუთითებდა, რომ თავადაც ამას უმიზნებდა. მეხსიერებაში განსაკუთრებით მყარად მაქვს ჩაბეჭდილი ერთი სცენა უკვე ნახსენები სიტუაციური კონფერენციიდან OKW-ს შტაბში 28 აპრილს.[37] ეს კონფერენციები ჰიტლერისთვის ტარდებოდა ხოლმე, რომელსაც გამორჩეულად უყვარდა რუკიან მაგიდასთან ჯდომა, თუმცა ახლა ოთახი ცარიელი იყო და იოდლმა მოხსენება ფეხზე მდგარი მსმენელებისთვის წაიკითხა. მოულოდნელად ჰიმლერმა სკამი აიღო და სხვათა დასანახავად რუკიან მაგიდას მიუჯდა ჰიტლერის ადგილას. ეს მე დიდ უტაქტობად მომეჩვენა მაშინ, როცა მისი ფიურერის აღსასრული ჯერ კიდევ წინ იყო. ამგვარმა საქციელმა შეცბუნება და უკმაყოფილება გამოიწვია. ჰიმლერმა გროსადმირალს თავის გვერდით სკამი შესთავაზა, რისთვისაც მან ცივად გადაუხადა მადლობა. მიუხედავად ამისა, დიონიცმა ჩრდილოეთში ძალაუფლების მქონე ოთხ პირთან სამხედრო სიტუაციის განხილვისას ის აზრი გამოთქვა, რომელიც უკვე არაერთხელ ჰქონდა განსჯილი და განხილული. კერძოდ, ის და კრიგსმარინე ომის ბოლო ეტაპზე ფიურერის მიერ კანონიერად დასახელებული ნებისმიერი მემკვიდრის ერთგული დარჩებოდა, რათა განხეთქილების გამო „მოცემული ტრაგედიის ტრაგი-კომედიად“ გადაქცევა აერიდებინა თავიდან (გამოთქმა, რომელიც, როგორც მახსოვს, შპეერმა[38]

---

37 27 აპრილს, იხ. ზემოთ, შენიშვნა 11.

38 ალბერტ შპეერი (1905-1981) – არქიტექტორი, შეიარაღებისა და სამხედრო წარმოების მინისტრი 1942-1945 წლებში.

გამოიყენა პირველად). მისი სურვილი იყო, რომ დანარჩენებსაც მისი პოზიცია გაეზიარებინათ.

30 აპრილს დილის განმავლობაში დიონიცმა მიიღო სიგნალი რაიხის კანცელარიიდან, რომელიც ჯერ კიდევ წინა დღით იყო ჩაწერილი და ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო დაყოვნებული. ტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: „ახალი ღალატი. მტრის რადიოს მიხედვით, რაიხსფიურერმა შვედეთის გავლით შესთავაზა კაპიტულაცია. ფიურერი ელის, რომ თქვენ ყველა მოღალატის წინააღმდეგ ელვისებურად და რკინის ხელით იმოქმედებთ – ბორმანი“.

ამ რადიოსიგნალმა გროსადმირალი მეტისმეტად დელიკატურ სიტუაციაში ჩააგდო. მისგან ელოდნენ, რომ ის ჰიმლერის წინააღმდეგ „ელვისებურად და რკინის ხელით“ იმოქმედებდა? როგორი წარმოსადგენი იყო ეს? მის ხელში იყო მხოლოდ კროგსმარინეს საზღვაო და ნაპირის დაცვის შენაერთები, რომლებიც საპოლიციო და საარმიო დავალებებისთვის არ იყვნენ მომზადებულნი და არც საამისო შეიარაღება გააჩნდათ. ჩრდილოეთში ფრონტზე მებრძოლ ჯარებზე მას ხელი ამ ეტაპზე არ მიუწვდებოდა, რადგან ისინი OKW-ს გავლით უმაღლეს მთავარსარდალს ემორჩილებოდნენ. ქვეყნის შიგნით ძალაუფლებას ჰიმლერი ახორციელებდა პოლიციის, SS-ისა და შემცვლელი ჯარის[39] მეშვეობით. მისი შეჩერება ძალადობით შეუძლებელი იყო და ამისი ნებისმიერი მცდელობა ქაოსს გამოიწვევდა, რის თავიდან აცილებასაც გროსადმირალი უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე მან მტრის რადიოთი მიღებულ ცნობაშიც შეიტანა ეჭვი, ყოველ შემთხვევაში მიიჩნია, რომ რაიხსკანცელარიაში იზოლირებულობისა და გაბატონებული მელანქოლიური განწყობის გამო ზედმეტად დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს მას. დასასრულს, ის უფრო მეტად საკუთარი ამოცანის ბეჯითად და რაც შეიძლება მცირე მსხვერპლით შესრულებაზე იყო კონცენტრირებული და არა „მოღალატეების“ წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ამის გამო მან გადაწყვიტა სიტუაციისთვის პირადი საუბრით ნათელის მოფენა, ჩემი მეშვეობით რაიხსფიურერს დაუკავშირდა და ნეიტრალურ ადგილას შეხვედრა დათქვა. ის შედგა 15:00 საათზე ლიუბეკის საპოლიციო ყაზარმაში. დიონიცმა ჰიმლერს რადიოსიგნალი გააცნო და ახსნა სთხოვა. იქ განვითარებული ხანგრძლივი საუბარი მხოლოდ შიგადაშიგ მოვისმინე, რადგან კაუფმანისადმი პასუხის მომზადება მქონდა დავალებული. როგორც დიონიცი მომიყვა, ჰიმლერმა მტერთან ნებისმიერი მოლაპარაკება უარყო (იხ. თავი 12). მან მტრის ცნობას მოგონილი უწოდა და დაეთანხმა დიონიცს, რომ როგორც არ უნდა განვითარებულიყო მოვლენები, მთავარი იყო ერთიანობა.

---

[39] ყველა გერმანელი ჯარისკაცი ერთიანდებოდა ან საველე არმიაში (Feldheer) ან შემცვლელ ჯარში (Ersatzheer).

ასე გაქრა ჰიმლერის მემკვიდრეობის ნებისმიერი შესაძლებლობა ჰიტლერის აღსასრულის შემთხვევაში. ის, რომ ჰიმლერი ამ პოზიციაზე საერთოდ განიხილებოდა და ჰიტლერს აზრი მხოლოდ გრაფ ბერნადოტთან[40] ურთიერთობის ნაადრევმა გამჟღავნებამ შეაცვლევინა, ნაკლებ სავარაუდო მგონია. ჯერ კიდევ არდენის შეტევის[41] მარცხის შემდეგ ნათელი იყო ამ ორ პიროვნებას შორის უფრო და უფრო მკვეთრი უთანხმოება.

დიონიცმა იმავე დღეს ვიწრო წრეს გაანდო, რომ მომავალი სამხედრო კატასტროფისა და გიორინგისა და ჰიმლერის დაცემის გამო უკვე აღარ ჰქონდა იმედი, რომ ბერლინიდან კიდევ რაიმე სახის მითითებას მივიღებდით მემკვიდრეობის ან საერთოდ კაპიტულაციის შესახებ. ამ შემთხვევაში ის გეგმავდა ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ მის ხელქვეით არსებული შენაერთების კაპიტულირებას, ხოლო თავად უკანასკნელ სამხედრო მოქმედებაში სიცოცხლის გაწირვას, რათა საკუთარი სილაჩრის ნებისმიერი ეჭვი გაექარწყლებინა და თვითნებურად დანებების ლაქა ჩამოერეცხა.

თუ რამდენად იქონია 25 აპრილს ბერლინში შპეერის სტუმრობამ ჰიტლერზე გავლენა, როცა მან დიონიცი აირჩია თავის მემკვიდრედ, დიდი ალბათობით უკვე ვეღარასდროს გავიგებთ. ფაქტია, რომ დიონიცმა შპეერის როლზე არაფერი იცოდა და ამ განცხადებით გაკვირვებული დარჩა.

ეს მან ლიუბეკიდან დაბრუნების შემდეგ, 30 აპრილის საღამოს, შეიტყო.

---

40 ფოლკე ბერნადოტი, ვისბორგის გრაფი (1895-1948) – შვედი დიპლომატი.

41 იგულისხმება დასავლეთის ფრონტზე 1944 წლის 16 დეკემბრიდან 1945 წლის 28 იანვრამდე მიმდინარე ოპერაცია.

თავი 5

„რაიხსპრეზიდენტი“ რადიოსიგნალით

მდგომარეობის ამგვარი ცვლილების შესახებ პირველი შეტყობინება ტელეგრაფის გზით მივიღეთ 30 აპრილს, 18:35 საათზე. ტექსტის შინაარსი ასეთი იყო:

პირველი რადიოსიგნალი

მიღებულია პლიონში 30.04.45 18:35 საათი

გაგზავნილია ბერლინიდან 30.04.45 18:07 საათი

ტელექსის ადრესატი გროსადმირალი დიონიცი

ყოფილი რაიხსმარშალის ნაცვლად ფიურერმა თავის მემკვიდრედ დაგასახელათ თქვენ, ბატონო გროსადმირალო. ძალაუფლების წერილობითი ანგარიში მალე მოგივათ. დაუყოვნებლივ შეგიძლიათ შესაფერისი ზომების მიღება, რასაც მოცემული სიტუაცია თქვენგან მოითხოვს.

ბორმანი

როცა ეს ტელეგრამა წარმოვადგინე, ჩვენთან იმყოფებოდა რაიხსმინისტრი შპეერი, რომელმაც მცირე პაუზის შემდეგ წარმატებები უსურვა დიონიცს, თუმცა მოლოცვებისთვის არ გვეცალა შექმნილი სიტუაციის სერიოზულობის გამო. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ძალაუფლების ამგვარი დათმობა ჰიტლერის სიკვდილზე ან ყოველ შემთხვევაში მის მოახლოებაზე – და ამით გერმანელი ერის გმირული და სასოწარკვეთილი ბრძოლის ნეგატიურ დასასრულზე – მეტყველებდა.

არცერთხელ არ გამჩდარა ეჭვი ამ და მომდევნო რადიოსიგნალების რეალურობასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ რამდენიმე კვირით ადრე, როცა მტრის ჯარების მიერ რაიხის ტერიტორიის დაკავებისა და დაბომბვის შედეგად რადიოკავშირები გამოუსწორებლად დაზიანდა, დიონიცმა უმნიშვნელოვანეს პუნქტებში საზღვაო სასიგნალო შენაერთები განალაგა, რომლებსაც ქვეყნის შიგნით გადაადგილება შეეძლოთ. იმ კრიტიკულ დღეებში სწორედ მათი მეშვეობით გვქონდა სტაბილური კავშირი როგორც ბერლინთან, ისე სამხრეთ რეგიონთან. ამ დროს ვსარგებლობდით სრულიად ახალი, აქამდე გამოუყენებელი ორმხრივი კოდებით, რათა კავშირები აბსოლუტურად გამართული და დაცული ყოფილიყო, ან ყოველ შემთხვევაში, რათა მესამე პირის მიერ უფლებამოსილების გარეშე რაიმე შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობა მოგვესპო. მართალია კაპიტუ-

ლაციის შემდეგ, განსაკუთრებით ჩვენი პატიმრობის პერიოდში, ეს რადიოსიგნალები, და შესაბამისად მემკვიდრეობის კანონიერება არაერთხელ გახდა დისკუსიის საგანი, მაგრამ მათში დაეჭვება მხოლოდ ტაქტიკური მიზნებისთვის ხდებოდა. ფიურერის ანდერძის აღმოჩენამ საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი ამ გამოგონილ ეჭვებს.

ტელეგრამის გაგზავნის თარიღად მითითებულია 30 აპრილის 18:15 საათი, როდესაც, როგორც დღეს უკვე ჩვენთვის ცნობილია, ჰიტლერი დიდი ხნის მკვდარი იყო. ამავდროულად ჩვენ ვიცით, რომ ანდერძი 29 აპრილითაა დათარიღებული. შეკითხვას, თუ რამ გამოიწვია ტელეგრამის გამოგზავნის ასეთი დაგვიანება – ჰიტლერის ბრძანებამ, მისი გარემოცვის გადაწყვეტილებამ თუ უბრალოდ ბერლინში არსებულმა ტექნიკურმა სირთულეებმა – მე პასუხს ვერ გავცემ.

მაშინ გროსადმირალმა დიონიცმა ორი მცდარი ვარაუდი გამოთქვა თავის ახალ პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით:

1. ფიურერმა მას გზა დაუთმო, რათა განეხორციელებინა ის, რისთვისაც თავად მზად არ იყო: კაპიტულაცია;
2. მან აირჩია ის, პოლიტიკურად სუფთა ჯარისკაცი, რადგან მტერი მასთან მოლაპარაკებას უფრო ისურვებდა.

მან ასევე ჩათვალა, რომ რადიოსიგნალის ტექსტი მას მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა. შესაბამისად, მან იმავე საღამოს თავისთან დაიბარა OKW და SS-ის რაიხსფიურერი, ორადორი ორგანო, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი რაიმე ძალაუფლება, რათა გაერკვია შიდაპოლიტიკური ვითარება და ვერმახტის სახით სიტუაციის მართვის ერთადერთი ინსტრუმენტი აეღო ხელში.

1-ელი მაისის დილას მეორე ტელეგრამა მივიღეთ რაიხის კანცელარიიდან.

მეორე რადიოსიგნალი

მიღებულია პლიონში 01.05.45 10:53 საათი

გაგზავნილია ბერლინიდან 01.05.45 07:40 საათი

ტელექსის ადრესატი გროსადმირალი დიონიცი (მნიშვნელოვანი საქმე!)[42]

ანდერძი ძალაშია. მე რაც შეიძლება სწრაფად მოვალ თქვენთან. მანამდე, ჩემი აზრით, სჯობს გასაჯაროვებისგან თავი შეიკავოთ.

ბორმანი

[42] Chefsache – საკითხი, რომელიც ორგანიზაციაში/იერარქიაში ყველაზე მაღლა მდგომმა უნდა მოაგვაროს.

ეს ჩვენთვის იყო პირველი შეტყობინება ჰიტლერის აღსასრულის შესახებ. სიკვდილის დროსა და ადგილზე ის არაფერს გვეუბნებოდა. ჩვენ გვეგონა, რომ მან ბრძოლაში ეძება და ჰპოვა იგი. სწორედ ამ მცდარ ვარაუდს ემყარებოდა ფრაზა „ფიურერი დაეცა“, რომელიც დიონიცმა იმავე საღამოს გააჟღერა და შემდეგ ჩრდილო-გერმანულ რადიომიმართვაში გამოიყენა.

დიონიცი მიმართავს გერმანელ ერს 1945 წლის 1-ელ მაისს
„გერმანელო მამაკაცებო და ქალებო, ვერმახტის ჯარისკაცებო!

ჩვენი ფიურერი, ადოლფ ჰიტლერი, დაეცა. გერმანელი ერი უდიდესი მწუხარებითა და პატივისცემით ხრის თავს. მან ბოლშევიზმის საფრთხე თავიდანვე დაინახა და მასთან გამკლავებას მიუძღვნა მთელი თავისი არსებობა. ამ ბრძოლისა და მისი შეუცდომელი, სწორი ცხოვრების გზის ბოლოს ის გმირულად დაიღუპა გერმანული რაიხის დედაქალაქში. მან თავისი სიცოცხლით განსაკუთრებული სამსახური გაუწია გერმანიას. მისი ომი ბოლშევიკური ურდოების წინააღმდეგ ამავდროულად იყო ბრძოლა მთელი ევროპისა და კულტურული მსოფლიოს დასაცავად.

ფიურერმა მე დამასახელა თავის მემკვიდრედ. პასუხისმგებლობის სრული გაცნობიერებით ვიღებ ჩემს თავზე გერმანელი ერის მეთაურობას ამ საბედისწერო ჟამს. ჩემი უპირველესი ამოცანა არის გერმანელების ხსნა ბოლშევიკური ნიაღვრით წალეკვისგან. ომი მხოლოდ ამ მიზნისთვის გრძელდება. სანამ ბრიტანელები და ამერიკელები ამ მიზნის მიღწევაში გვიშლიან ხელს, მათ წინააღმდეგაც მოგვიწევს თავის დაცვა და ბრძოლის გაგრძელება. ანგლო-ამერიკელები ამ შემთხვევაში ომს არა საკუთარი ხალხებისთვის აწარმოებენ, არამედ ევროპაში ბოლშევიზმის გასავრცელებლად.

რასაც გერმანელმა ერმა ამ ომში ბრძოლით მიაღწია და რასაც საკუთარ მიწაზე გაუძლო, ისტორიაში ანალოგი არ აქვს. მომავალ რთულ პერიოდში მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, რომ ჩვენი მამაცი ქალები, კაცები და ბავშვები შესაფერისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველვყო. ამისთვის მჭირდება თქვენი დახმარება. გამომიცხადეთ თქვენი ნდობა, რადგან თქვენი გზა ამავდროულად ჩემი გზაცაა. დაიცავით წესრიგი და დისციპლინა ქალაქად და სოფლად, თითოეულმა შეასრულეთ საკუთარი მოვალეობა! მხოლოდ ასე შეგვიძლია განსაცდელის შემსუბუქება, რომელსაც ბედი ყველას გვიმზადებს, და განადგურების თავიდან აცილება. თუ ჩვენ ყველაფერს ვიზამთ, რაც შეგვიძლია, არც უფალი მიგვატოვებს ამდენი ტანჯვისა და მსხვერპლად შეწირვის შემდეგ“.

გასაჯაროების გადადების შემოთავაზება დიონიცმა მცდარად ჩათვალა და თავიდანვე უარყო იგი. თუკი ადამიანი მოვლენების შემდგომ განვითარებაზე ფიქრობდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს იყო ის შეტყობინება, რომელიც მსოფლიოს, გერმანელ ერსა და მეტადრე ვერმახტს გერმანული

წყაროდან უნდა შეეტყო: მსოფლიოს უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო რაიხის კანონიერი მმართველი, გერმანელ ერს ამ გადაწყვეტილებებით მდიდარი და შედეგებით მძიმე ეპოქის დასრულება თავად მისგან უნდა შეეტყო, ხოლო ვერმახტისთვის ეს აუცილებელი იყო ქაოსის თავიდან ასაცილებლად, რომელიც უცილობლად წარმოიშობოდა, როცა ჯარი და მეთაურობა შეიტყობდა იმ კაცის სიკვდილს, ვის მიმართაც მათ ერთგულების ფიცი ჰქონდათ დადებული, თანაც მაშინ, როცა შემდგომი მოქმედების შესახებ არანაირი ოფიციალური მითითებები არ გააჩნდათ.

იმავე პირველი მაისის საღამოს სასიგნალო შენაერთის ოფიცერმა რაიხის კანცელარიიდან მესამე და უკანასკნელი ტელეგრამა გადმომცა.

მესამე რადიოსიგნალი

მიღებულია პლიონში 01.05.45 15:18 საათი

გაგზავნილია ბერლინიდან 01.05.45 14:46 საათი

ტელექსის ადრესატი გროსადმირალი დიონიცი (მნიშვნელოვანი საქმე! გადაეცეს მხოლოდ ოფიცრის ხელით!)

ფიურერი გუშინ 15:30 საათზე აღესრულა. 29.04-ის ანდერძით თქვენ გადმოგეცათ რაიხსპრეზიდენტის თანამდებობა, რაიხსმინისტრ დოქტორ გოებელსს[43] რაიხსკანცლერის, რაიხსლაითერ ბორმანს პარტიის მეთაურის, ხოლო რაიხსმინისტრ სეის-ინკვარტს[44] – რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ჰიტლერის ბრძანებით, ანდერძი ბერლინიდან გამოვიტანეთ თქვენთვის, ფელდმარშალ შიორნერისთვის[45] და იმისთვის, რომ საფრთხეს გაგვერიდებინა. ბორმანი დღესვე შეეცდება თქვენამდე მოღწევას სიტუაციის გასარკვევად. ჯარისკაცებისთვის და საზოგადოებისთვის განცხადების გაკეთების დრო და ფორმა თქვენ თვითონ შეარჩიეთ. შეტყობინების მიღება დაადასტურეთ.

გოებელსი-ბორმანი

ამ მითითების ტექსტი, როგორც გავიგეთ, ჰიტლერის ანდერძიდან იყო ამოღებული და მის მემკვიდრეს მრავალ საკითხში მისი ნების შესრულებას ავალდებულებდა ნებისმიერი გადახვევის გარეშე. მიუხედავად ამისა,

---

43 პაულ იოზეფ გოებელსი (1897-1945) – ბერლინის გაულაითერი 1926 წლიდან და გერმანიის პროპაგანდის მინისტრი 1933 წლიდან, ჰიტლერთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი.

44 არტურ სეის-ინკვარტი (1892-1946) – ნიდერლანდების რაიხსკომისარი 1940-1945 წლებში.

45 ფერდინანდ შიორნერი (1892-1973) – ფელდმარშალი, 1945 წლის 30 აპრილს გახდა ვერმახტის უკანასკნელი მთავარსარდალი.

გროსადმირალი დიონიცი თავს არ გრძნობდა ამ ბრძანებაზე დამოკიდებულად შემდეგი მიზეზების გამო:

1. ის ცალსახად ეწინააღმდეგებოდა პირველ ტელეგრამას (30.04, 18:55 საათი), რომლის მიხედვითაც, დიონიცს „დაუყოვნებლივ უნდა მიეღო შესაბამისი ზომები, რასაც მოცემული სიტუაცია მისგან მოითხოვდა“.

2. ამისა და ჰიტლერის სიკვდილიდან საკმაო დროის – 24 საათის – გასვლის გამო, დიონიცი ეჭვქვეშ აყენებდა ამ მესამე სიგნალის ჰიტლერის სურვილიდან გამომდინარეობას და არ გამორიცხავდა გოებელსისა და ბორმანის ორმხრივ შეთქმულებას.

3. მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე ამ მითითებების შესრულება ისედაც წარმოუდგენელი იყო.

4. დიონიცის პირადი კონცეფცია ომის დასასრულებლად და მთავრობის ჩამოსაყალიბებლად შეუსაბამობაში იყო ძალაუფლების მოცემულ გადანაწილებასთან. ქვეყნის მეთაურისადმი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებულ დიონიცს, საკუთარი სინდისის კარნახით, გადაწყვეტილი ჰქონდა იმ გზით წასულიყო, რომელიც, მისი და მისთვის სანდო პირების აზრით, საუკეთესო იქნებოდა სრულიად გერმანელი ერისთვის მოცემულ სიტუაციაში.

5. მას უკვე დაეწყო პირადი შეხედულებების შესაბამისად მოქმედება და პირველი ნაბიჯები უკვე გადაედგა.

ამ რადიოსიგნალის გასაჯაროვება და იმის გამოაშკარავება, რომ დიონიცმა მას გადაუხვია, ძალიან ცუდ შიდაპოლიტიკურ შედეგებს მოგვიტანდა და არა მხოლოდ დიონიცის ავტორიტეტს შელახავდა, არამედ ომის მოწესრიგებულად დასრულებასაც შეუშლიდა ხელს, ამიტომ მან მიბრძანა, რომ ის კარგად შემენახა და არავისთვის მეჩვენებინა, არც მისთვის უახლოესი პირებისთვის. ეს საკითხი მეორე დღეს ფელდმარშალ კაიტელთან და ფინანსთა მინისტრ გრაფ შვერინ ფონ კროზიკთან[46] განიხილა, რომლებიც მის გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ. შვერინმა ასევე აღნიშნა, რომ ადამიანის დასახელება ავტორიტარული რეჟიმის მეთაურად და შემდეგ მისი მთავრობის შემადგენლობის მის ნაცვლად შერჩევა სრულიად წინააღმდეგობრივი და აბსურდული იყო. პირიქით, როცა დიონიცმა 3 მაისს გამოაცხადა, რომ „რაიხის დროებით მთავრობას“ ჩაუდგებოდა სათავეში, შვერინმა შესთავაზა გოებელსისა და ბორმანის დაპატიმრება, თუ ისინი მოულოდნელად პლიონში გამოჩნდებოდნენ. დიონიცი დაეთანხმა.

დედაქალაქში მიმდინარე ჩვენთვის უცნობმა პროცესებმა ამის საჭიროება მოხსნა.

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო

კონსტანტინე მეგრელიშვილმა

konstantine.megrelishvili437@hum.tsu.edu.ge

[46] ლუც გრაფ შვერინ ფონ კროზიკი (1887-1977) – რაიხის ფინანსთა მინისტრი.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

- ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგ. ე. მეძმარიაშვილი, თბილისი, 2017.
- Lüdde-Neurath, Walter, Regierung Dönitz: Die letzten Tage des dritten Reiches, Dürrer-Verlag, Buenos Aires, 1951.
- Lüdde-Neurath, Walter, Unconditional Surrender: A Memoir of the Last Days of the Third Reich and the Dönitz Administration, trans. Geoffrey Brooks, Naval Institute Press, Annapolis, 2010.